

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტტი მაგარი, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тифлисе, въ редакцію газеты „ДРОБНА“.



ხელის-მოწერა

თფილისში: ზაზუნის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. შორტაძის ბიბლიოთეკაში
ზაზუნის შემდგომად რედაქციის დასახელებით
Въ Тифлисе, въ контору газеты „ДРОБНА“.

რედაქცია: ადგილი ინსტიტუტის ქუჩაზედ სოლომონ შირიძის სახლში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში. სასახლის მეორე სართულზე, შაჰოვიანის სახლში.

შინაარსი:

რედაქციისათვის — საქართველო: აღიარებასა-წყაული მალაქის გამგებან-წერილი ახლები — „დროების“ კორესპონდენცია: შვირილიდგან — რუსეთი — სტუდენტების შემწეველი საზოგადოებისათვის — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — ნარევი — ჰაერის ფორტა — მანკა-დებები.

შელოცვანი: ნანდელი კინკლაძე ჯანდაბეთში, ხანელი მებუქია.

რედაქციისათვის

დღის სიამოვნებით ვატყობინებ ჩვენს მკითხველებს, რომ უფ. სტ. ზარაფოვი-მა მოგვანდო შევდგი საქმე:

ის კისრულ ობს და აბეჭდინოს თავის ხარჯით ქართული სახელმძღვანელო წიგნები პირველ-დაწყებით მცენიერებისა და ამასთანავე მისცეს მათ დამწერებს შრომის ფასი ორას-ორასი მანეთით თითო სახელმძღვანელოში.

თხზულებები „დროების“ რედაქციას უნდა გამოგზავნონ, რაც შეიძლება უფრო მალე. რედაქცია, ზოგიერთი პედაგოგების შემწეობით, განიხილავს წარმომავალ თხზულებებს, და უკეთესებს დაუყოვნებლივ დაბეჭდავს.

საჭიროა დაუმატოთ, რომ თითოეული მცენიერების სახელმძღვანელო სივრცით ბოსკოს ქიმიის ან ბედფორდ სტიურტის ფიზიკის ტოლა უნდა იქმნეს, ე. ი. 10 თაბახამდე.

რაც ამ სახელმძღვანელოებს სურათები დასჭირდება მათი მოჭრა იქისრა უფ. ნიკოლაძემ.

საქართველო

აღივსო საუბარში!

უკი გამოუჩნდა ლიტერატურაშიაც თ. აბაშიძის ერთი დამცველი!

ფალტონი

ნამდვილი კინკლაძე ჯანდაბეთში!

საკვირველი საქმე შემოიტანა დროთა ვითარებამ ჯანდაბეთის ქვეყანაში. აბაშიძის, განათლდა ქვეყანა, განათლდა აზრი, ცხოვრება, ამასთან, რასაკვირველია, დროგადაც, ერთის სიტყვით ყოველს ბუნების ქმნილებაში ნათელი გამობრწყინავს! მართლაც განათლდა ყოველი ფერი და შეიცვალა ყოველივე ძველი, შემოვიდა ახალი და დიდი-გუნა ძველი სამართალი, შემოვიდა პირუთ-ნებლი მსაჯულება, დანთქა უფსკრულში ქრთამეობა, ამაღლდა, განბრწყინდა ზნე-ბა კაცისა და იქმნა სპეტაკი, ვითარცა თოვლი!

ამ საუკუნის განათლება ჯანდაბეთში, მე მინდა, ჩემო მკითხველო, გამოგიხატო რამოდენიმე სიტყვით, თუ კი მოგაგონდა, რაც

ჩვენ გვეგონა, რომ თავისუფალი კაცების ხელახლად დამონების სურვილი, მართლ-საიდუმლოთ და ნამალევით გამოითქმებოდა სამდე. მხლა, თუ კიდევ ჩვენს საქართველოში ისეთი ადვოკატი გამოვიდოდა, რომელიც საქვეყნოდ მოინდომებდა პლანტატორული აზრების დამტკიცებას — ამას კიდევარ წარმოვიდგენდით! მართალია, ჩვენს დროში „იშვითი მოვლინებები“, „სალტო-მორტალე“ „მეტამორფოზები“ ხშირია. მაგრამ ყველა ეს ცვლილებები და ნახტომები დელიკატურათ და შეუმჩნეველათ ხდება, ხოლომე.

აქ კი ჩვენ ბირდაპირ, აშკარათ და და-ლაგებით გვარწმუნებენ, რომ ძაცხის გლეხები აბაშიძის საკუთრებაა — და ჯრუჭის წყრეთლებისაო. უფ. კორესპონდენტი Z. სწორეთ იმ ზომას და ლოლიკას ხმარობს ადამიანებზედ, როგორც ცხვრის ან თხის ფარაზედ იხმარდა პატრონი ამოგების დროს. საქებია, ძალიან საქებია! ჩვენ ფაქტიკური მხრით არ განვარჩევთ აბაშიძის და ძაცხის გლეხების დეას. ამ ნაირ დაფასებას მკითხველი წარსულ „დროების“ ნომერში ნახავდა.

ჩვენ მხოლოდ საზოგადოთ კაცობრივ უფლების მხრით შევხედავთ ამ საქმეს. აბერ, თითქმის, ერთი საუკუნეა, რაც მერო-პამ იცნო, რომ მონაობა საზოგადოების გამრყენელი და დამამკირებელი მოვლინებაა.

ამერიკამ რამდენიმე ასიათასი თავის მოქალაქების სისხლი დაღვარა დასამაგალითო რამი გამოიარა, რომ განეთავისუფლებინა ნეგრები. მაგრამ დევანებოთ ამ ავტორიტეტულ მაგალითებს თავი.

ჩვენ უბრალოთ დავადგენთ კითხვას: რომელი საფუძვლით სთხოულობს უფ. Z. რომ თავისუფალი კაცები ჩაგდონ ხელახლად საბატონო უფლებებში?

რომელი საზოგადო საჭიროება მოითხოვს ადამიანის პიროვნული უფლების და შრომის დამოკიდებას მებატონისგან? რომელი სამართლიანობა და ქეშმარიტება აღ-

მე ქეშმარიტათ შევიტყვე და ჩემ თვალწინ ჯანდაბეთის ქვეყანაში მოხდა; მაგრამ, ლმერთმან იცის, არ იცი რისგან დაეიწყო, ისრე გაფანტული მაქვს აზრი სხვა და სხვა ეხლანდელი ცხოვრების ელემენტებზედ, — მაგრამ არაფერი, მამაგონდა! ღაიფყოთ ესრეთ: იყო და იყო, ზეცას ღვთის უკეთესი არა იყო რა და დედა მიწაზედ ჯანდაბეთის ქვეყნის და შიგ მცხოვრებლებისათანა. ამ მცხოვრებლებისთვის საუცხოო თვისებები მიუნიჭებია ახალ დროს და მე გვიანამდღი ვერ შევიტყვე, სამან არ დეაკვირ-დი.

მრთხელ ჩემის საკუთარის საქმისათვის, შემოვედი ჯანდაბეთის ქალაქში, როცა მამასახლისის შუტარაძის ამორჩევის დრო იყო, და ვიფიქრე, მაინც უსაქმოთ ვარ და მოდი სასამართლოში წავალთქო. როგორც ვიფიქრე, ისრე ექმენი: წავედი და სასამართლოს ბალკონზე შევედი, გაიხედ-გა-

სდგება იმითი, რომ თთ: აბაშიძეებმა დებუ-ლების ოქმი შეუდგინოს ძაცხის ეკლესიის გლეხებს მათ თითო ორ-ორი აბაზო-ბით ნაყიდ ადგილებზედ?

რა პრინციპია აქ დასაფარავი? რა მიზანი აქვს ყველა ამ აბაშიძეების და მათი დამცველის, უფ. Z. მეცადინებას? პირველ-ნიცა და უკანასკნელნიც ძალიან უბრალო მოსაზრებებზედ გამოდიან. ისინი სჯიან ასე: საკუთრება არის სამართლიანობა. გლეხი კაციც საკუთრებაა. მაშა სადამე ბატონ ყმობაც შეუწყველი და უწმინდესი პრინციპ-თაგანია.

მე მეკარგება, ვთქვათ, დღეს ერთი ცხენი, ერთი ძალი და ერთი გლეხი. ცხენი საქმეა, როდესაც ვნახე ჩემს დაკარგულ ნიეთებს მაშინ განავახლებ და განაცხადებ ჩემს პატრონობას, ჩემს სიმართლეს?

ასეთია უფ. Z. თქვენი და თქვენი კლიენტების ლოლიკა? ამ გზით მიდით, უფალნო, იმ გადაწყვეტილებამდღი, რომ დღეს თავისუფალი კაცები მონებოთ გინდათ გაიხადოთ?

ამ საფუძვლით ისაკუთრებთ თქვენივე მზგავს კაცებს და ეწვეით მეტვირთე პირუტყვად გადაქციოთ გლეხები?

ღიღ, ეს ისე სასიამოვნო და შემაკეთ-ნელი გრძნობაა, რომ კაცს სწორი მსჯე-ლობის ნიჭს უკარგავს და სისულელეს არა-შეინებს.

ჩვენ ძალიან სამწუხაროთ მიგვაჩნია, ქეშ-მარიტად, რომ ამნაირი ლაპარაკი გეჭირდებ-და დღეს!

მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენს ცხოვ-რებაში კიდევ ბევრი რამ გულის მოსაკლ-ვი მოვლინებები არიან. მინ აუვა ყველა-ზედ ვაებას?

არა! ასაღვლებელი აქ ეს არი: ისინი იფარენ დღეს ბატონ-ყმურ დამოკი-დებულების სამართლიანობას, რომელთაც თავისუფლების და ქეშმარიტების დაცვის პრეტენზია ჰქონდათ.

მოვიხედე, ვინ არ იყო იქ, — ყველა წოდების კაცებს იზოვიდი და შიგ შუა გულში ადვოკატები დატრიალობდენ ტახით, რო-მელთაც შემოხვეოდა ხალხი და ქადაგებდენ რებს, ლმერთმან არ იცის მათი თავი, და ისმოდა ერთი და იგივე საჩივარი. ჰერ სასამართლოს კარი არ გაუღიათო, როგორ არა სჯობდა ძველი დროეო, სასამართლოს კარი ღია იყო ყოველთვის და ჩაგრულისათვის, მიხვიდოდი თუ არა, მოგვეგებოდენ და გკითხვოდენ, რა საქმე გაქვსო, დატრიალ-დებოდენ და იმავე საათში, სხვას თუ არას გაგიკეთებდენ, ნომერს ხომ მაინც მოგ-ცემდენ. მხლა, დაწყველოს ლმერთმა, და-გვიბარებენ დილით ცხრა საათზედ და უნდა თვალები ჩამოგეჭინოს ნაშუადღის სამ სა-თამდინ, მისთვის რომ ბოლოს გეტყვიან: საღამოს რვა საათამდინ საქმის განჩიე-ვარ მოხდებოა, ანუ შენი საქმე გარდა-იღვა შემდგომის ოჩერედისათვისო.

მოდი ეხლა შენ, დავრწმუნე კაცის გულ-წრფელობას!

მინ იცის, რამდენ ჯერ აღვლევებით და სიამა-ყით მოუგონებოთ იმათ, ვისაც ეს ლაპარაკი შეეხება — ჩვენი დიდი რუსთველის სიტყვები: „მიდგ გლახაკთა საქურჭლე, ათავის-უფლე მონები.“ ნუ დაიფიქრებთ, რომ ეს ლექსი შეიდასი წელიწადია რაც დაწერილია. დღესაც კიდევ დასაცველად გვიჩნდება ჩვე-ნი პოეტის აზრი. მხლა გკითხვებ მე თქვენ, პროგრესისა ეს?

მეველი.

თფილისის ძალაქის გამგეობას.

ჩვენ შევიტყვეთ, ვითომ უფ. რუკოს დე-პეშა გამოუგზავნია ლონდონიდან, აქაური სამოქალაქო გამგეობისთვის, ამ დეპეშაში ის აცხადებს, რომ კამპანია Societe Generale (limited), რომელიც არსად არსებობს, მთხვავს წარუდგინო თფილისის გამგეობის ნამდვი-ლი გადაწყვეტილებებ, გაზისა და წყლითაობაზეო. ამ გადაწყვეტილების პი-რი, როგორც აბაშიძის, უფ. რუკოს აქვე მიუღია, და ეხლა ის ნამდვილ გადაწყვეტი-ლებასაც თხოულობს.

ღიღ შეცთობა იყო ამ გადაწყვეტილების პირის უფ. რუკოს ხელში ჩაგდება. მაგ-რამ ათასჯერ უფრო მეტი შეცთობა და უ-ცქველი დანაშაულობაც იქნება ნამდვილი გადაწყვეტილების გადაცემა. შეუძლებელია არ მიხედეს კაცი, თუ ერთი იოტა ტენი მიინც აქვს თავში, რომ ამ ახალ მოთხო-ვნილებას იმითომ ურდვენენ გამგეობას, რომ ან დრო მოიგონ დაპირებული ასა-ათასი მანეთის საზოგადოთ, ანა და პირ-დაპირვე აქციები გამოუშვან, ცოტაოდენი ფული შეკრიბონ და ჯიბეში გაიკრან. ორი-ვე შემთხვევაში ჩვენი ქალაქის რეპუტაცია საზიადგოთ დაღუპული იქნება სამხლენარ გარეთელი კაპიტალისტების თვალში.

ჩვენ ერთხელ კიდევ, უკანასკნელათ, ვაფ-რთხილებთ ქალაქის გამგეობას. ჩვენი ბრა-ლი ნუ იქნება, თუ შემდეგ იმას ლაზათიან-ათ აეწვეს კანი.

მხლანდელმა კანონმა ეს შემოიტანაო, ეტყოდა ადვოკატი, ეხლა დამყარებული არის სასამართლოს სჯა უბეჭდენიებო. ბუღეც-ნიე არის, თუ რაღაც, ბატონო, ჩვენ კი გარ-დაგიწყდა, და ჯანი და სული გავარდეს მა-გისთანა ბუღეცნიეს, ეტყოდა ერთი მომ-ჩივანთაგანი. ამ დროს გაიღო კარები, იგრი-ალა ხალხმა და შევიდა სასამართლოში. რო-გორც იქნა, მეც შევედერი და ჩავეკეტე პუბლიკაში. რაღა ბევრი გავაგრძელო, ძი-ლი მომეკიდა, სანამ მოსამართლე გამოი-დოდა. ბოლოს, რითაც იქნა, გამოყო თავი მსაჯულმა განის კარებიდან, სტაცა ხელი სასამართლო იარაღს, გარდიკიდა უცებ, წა-ავლო ერთ საქმეს ხელი და დაიძახა: შო-ხალაძის ქალი და აზნაური ბაბერილიძე ად-გილის თაობაზედ! წამოდგა ორი კაცი და წარსდგა მსაჯულის წინაშე: მოსამართლემ უთხრა მარჯვენა მხარეს, სახელი და გვარი თქვენი გამოაცხადეო. მე განლაყარ აზნაუ-

წერილი ახალი

სახელმწიფო რჩევას საკმაოდ არ უცნობია ის საშუალება, რომელიც აქამდის ჩვენში მიწების გასამიჯნავად იხმარებოდა, რადგანაც გამიჯნველი კამისიები ერთობ ცოტა იყო. მხლა შმაღლესად დამტკიცებულა სახელმწიფო რჩევის ახრი ამ კამისიების გამიჯნობაზედ, რომ ამითი ადგილ-მამულების გამიჯნვა მალე გათავდეს. დიდი ბედნიერება იქნება, ჭეშმარიტად, ჩვენთვის, თუ ადგილ-მამულების გამიჯნვის დროს ადგილის მეპატრონეებმა ნამეტნავად უსაფუძვლო და ჯობრულ შებასებასა და ჩხუბსა და დეიდარაბას თავს დაანებებენ და ძმურად მორიგდებიან და კამისიებს მალე შეასრულებინებენ იმ ვალდებულებას, რომელსაც მათ უმაღლესი მმართველობა სდებს. ამ საქმის სისრულეში მოყვანა ძლიერ სასარგებლო იქნება მმართველობისათვისაც და ჩვენი ქვეყნისათვისაც. მმართველობისათვის ამიტომ, რომ შემდეგ იმდენი ხარჯი და ღონე არ დასჭირდება, რამდენსაც ეხლა ურიცხვი აყალ-მყალისა და საჩივრების დასაცხრობლად ხმარობს; და ჩვენ ამითი გვარგებს, რომ მუდამ ერთი მტკაველა მიწის გულისათვის კინკლაობის მოშლამ იქნება ჩვენი წამხლარი წნეობა ცოტათი მიინც გასწოროს. ამას გარდა იმასაც ნუ დაევიწყებთ, რომ რაც ახლა მმართველობისაგან შეგროვილი ხაზინა ამ ჩხუბისა და საჩივრების მოსასპობლად იხარჯება, ან რასაც ამ საქმეზედ თერთონ მოხუბრები ყოფა-ცხოვრებას აწყობდნენ, იმისგან ნაწილი სხვა უფრო სასარგებლოს და წნეობის ნამდვილად გამსწორებელს საქმეზედ მოგვხმარდება, იმედია.

მოლიერის კამედიის „სკაპენის“ წარმოადგენა ამ მოკლეს დროში უნდა მოხდეს. წარმოდგენით შეკრებილი ფული ან მთელისის სახელოსნო შკოლას უნდა მოახმარონ, ანა და პეტერბურლის უნივერსიტეტის ღარიბი სტუდენტების შემწეველ საზოგადოებას უნდა გაეგზავნოს.

„დროის“ კორესპონდენცია

დ. შერილა, 25 ნოემბ. 1873 წ.

მე და ჩემი ახნანაკები სრულიად სხვა მეპატრონისგან ვიყავით შეწირულნი ძაცხის ეკლესიისადმი, რომელთა შორის სრულიად,

რი დავით ბაბერილაც, მიუგო მან.
— თქვენ ვინ ბრძანდებით? მიუბრუნდა კითხვით მარცხენა მხრეს.

— მეგახლავარ შობალადის ქალი და ვითხოვ, ჩემს მაგიერ პასუხი მოეთხოვოს ჩემს აბუკატს მალაღამეს. და მეყვესულად წარმოსდგა იგიცა—ერთი ვაება უწინა ახნანი.

— შემდგომ მოსამართლემ კითხა ახნაურს ბაბერილაც: რას იტყვიან თქვენ ამ საჩივარზედ, რომლითაც ითხოვს მარწმუნებელი შობალადისა თქვენის ნაკაცვარის მამულისაგან მეშვიდედ და მეოთხმეტედ ნაწილსა?

— მე, ბატონო, მიუგო ბაბერილაც, თუ მომიჩინა მოვალე ჩემს სახლში, დარწმუნებული ბრძანდებოდეს ექვლი მალაღამე, მაგ ქალს შეიღსაც მიეცემო და თოთხმეტსაცაო.

— ეს როგორ იქნება, უფალო მოსამართლე, წამოროშა მალაღამე, მაგის სიტყვები შეურაცხებას აძლევს ჩემს მარწმუნე-

ერთ მეგვარეობისა გარდა, არავითარნათესაობა არ არის. და ახლა ჩვენცა და სხვებიც მიგეცეს დავით აბაშიძის შთამამავალთ, ნ. აბაშიძეს და მის ბიძაშვილებსა და რომ მე ვლავარაკობ მართლს, ეს დამტკიცდება ეკლესიის საბუთით. აი თუ როგორ არის:

პირველი მეფე სოლომონის იმერეთისასული იყო ღარჯან ბატონის შვილი, რომელიც მიათხოვა მეფემ ბ. აბაშიძეს და რომელიც ესახლა მართლის და იმერეთის საზღვარზედ, და უბოძა მეფემ იმერეთში მზითვად დიდი მამულები, რომელთაც მიეცათ ვაჟნი სვიმონ და ივანე. ეს უკანასკნელი იყო მამა პოლკოვნიკის ბიორგი და სვიმონ აბაშიძეებისა, რომელნიც ეხლაც სცხოვრებენ ქ. შუთაისში; ხოლო სვიმონი უფროსი ძმა ივანესა, მიიცივალა იმერეთში მამის და დედის სიცოცხლესა შინა, რომელიც სურვილისაგამო დედისა, ღარჯან ბატონის შვილისა, დაასაფლავეს ძაცხის მონასტერში და მაშინ შესწირა ბატონის შვილმა ჩვენი წინაპარი გვართ სამხარაძეები, ათი კომლი, რომელთაგან დღეს უმეტეს ორმოცდა ათის კომლისა ვართ; და ეხლა მიგვართვეს მსხვერპლათ იმ მეპატრონეებს, რომლისაგან არც შეწირულნი ვიყავით და არც ვეკუთვნოდით მათ.

რუსეთი

შინაგანი საქმეების სამინისტროში გზადება არის, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში 1875 წელში საზოგადო მცხოვრებთ აღრიცხვა მოახდინონ.

— მოსკოვის უწყებები გვაცნობენ, რომ სახელმწიფო რჩევას ახალს სამხედრო კანონებში შეუტანია შემდეგი მუხლი იმაზედ, თუ რა დარა უპირატესობა უნდა მიეცეს ნასწავლ კაცებს სამხედრო სამსახურში: ვისაც გიმნაზიის კურსი გაუთავებია და თავის ნებით შეეცა სამხედრო სამსახურში, ის ვალდებულია, რომ მარტო ექვსი თვე იმსახუროს და თუ წილის ყრით გამოიწვიეს, მაშინ წელიწად-ნახევარი. უნივერსიტეტში კურს გათავებულებისთვის დანიშნულია სამი თვის ვადით სამხედრო სამსახური, თუ ისინი თავის ნებით შევლენ სამსახურში და ცხრა თვის ვადით, თუ წილის ყრას უცადეს.

— წასრული თვითამ რუსეთი კიდევ ას მილიონ მანეთს სესხულობს სხვა და სხვა ბანკირების შემწეობით. ეს ეალი რომ წი-

ბელს! გთხოვ ჩასწერე პროტოკოლშიაო!
— ამასვე რას იტყვიან? უთხრა მოსამართლემ ახნაურს ბაბერილაც.

— ბატონო მოსამართლე, მიუგო მან, ჩემი მომიჩინა თხოულობს მეშვიდედს და მეოთხმეტედს განა? დიად, მიუგო მოსამართლემ და ვიყავი რახარუხით მალაღამეც! მაშ მეტი რა უნდა ექნა, თუ მიეცემა, არ ნებას შეიღსაც და თოთხმეტსაც ორივე ხელებით მიეცათ მეცა! მეტი კი არა შემიძლიანარაო!

— არა, ბატონო მოსამართლე, სთქვა მალაღამემ, მე ვითხოვ, რომ ჩემს მარწმუნებელს მიენიჭოს ადგილ-მამულისაგან მეშვიდედი და მეოთხმეტედი, რადგანაც იგი შემდგომ მისი ქმარის სიკვდილისა ფლობდა მამულს დრო დაუკარგავათ!

შემდგომ ამისა მოსამართლემ ორივე მხარეს მოწმები მოსთხოვა და საქმე დაი-

წანდელ საზღვარს გარეთელს და ორას მილიონ შინაგან სესხს მიუმატოთ, რუსეთის სრული ეალი შეადგენს ორი ათას ხუთას მილიონ მანეთზედ მეტს.

— ბაზეთი „ძიველი“ გვაცნობენ, თუ რამდენი სტუდენტი ყოფილა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ძივეის უნივერსიტეტში და ამბობს, რომ ორი წელიწადია, რაც სტუდენტების რიცხვი თანდისთან კლებულობსო. მაგრამ ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ რეალური გიმნაზიები დამამოსულებს უნივერსიტეტში აღარ იღებენო და არც ისაო, რომ კლასიკური გიმნაზიებიდან კურს გათავებულები ნაკლებად გამოდიანო; ამის მიზეზად ჩვენ ის უნდა ჩათვალოთ, რომ წინეთ უნივერსიტეტში უფრო ბევრი სემინარიელები შედიოდნენ და ეხლა იმათი რიცხვი კლებულობსო, რადგანაც მათმატიკისა და ძეგლი ენებისაგან ეგზამენების დაჭერა ძალიან უძნელდებათო.

— 28 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე რუსეთში 91 თხზულება დაბეჭდილა, ამ რიცხვშია სასწავლებელი წიგნები და კალენდრებიც. სასულიერო ცენზურის ნებადართვით დაუბეჭდიათ ოქტომბერში 15 თხზულება. ამავე თვეში საერო ცენზურას 222 უცხო ქვეყნებიდან მოტანილი თხზულება განუხილავს, რომელთაგან შეიღ თხზულებაში ფურცლები ამოუჭრია და ექვსი სულ აღუკრძალავს. პოლშურ ენაზედ 22 წიგნი განუხილავს და აქიდან ათი აღუკრძალავს.

— პეტერბურლის უწყებებში დაბეჭდილია ცნობები იმაზედ, თუ რამდენი სასესხო და სამომჭირნეო ამხანაგობა არის ამ ქვეყანაში. პირველი ამ გვარო ამხანაგობა დაფუძნებულია 1856-ში. მას აქეთ 1869-დის არც ერთი სასესხო და სამომჭირნეო ამხანაგობის წესდება არ დამტკიცებულა მთავრობისაგან. ამ წელში დამტკიცებულა 2 ამგვარი ამხანაგობის წესდება, 1870-ში—13-სა, 1871-ში—43, 1873-ში—94 და წელს ნოემბრამდის 171 ამხანაგობის წესდება, ასე რომ ყველა სასესხო და სამომჭირნეო ამხანაგობის რიცხვი 324 არის, პირველად დაწესებული ამხანაგობისათვის მმართველობას სესხად მიუცია 25 ათასი მანეთი. სხვებისთვის ერობას უსესხებია 139 ათას მანეთზედ მეტი.

— ბაზეთები გვაცნობენ, რომ შირიმიდან ბევრი თათარი გადის და სათათრეთში სახლდებიან, რომ ამითი ახალი სამხედრო კანონების თანახმად სალდათად გამოწვევას

ნიშნა განსარჩევლად შემდგომის ბორჯისათვის.

მალაღამემ ითხოვა, რაც შეიძლება დეს, მოკლე ვადის დანიშნა, რადგანაც შემდგომისათვის ბევრი საადვოკატო საქმეები აქვს თ...ში.

ბაბერილაც მინდა მალაღამის გაიძევრობას და, შემდგომ მისის თხოვნისა, მან ითხოვა, როგორც მალაღამემ, რომ შეამოკლონ ვადა, რაც შეიძლება დეს, ახლის განჩივისათვის, მისთვის რომ პ...ში მას ბევრი საადვოკატო საქმეები აქვს ურუსივის მაგიერათ.

აფერუმს ეს მეცხრამეტე საუკუნის განათლება არის, მაშ რა ჯანდაბა არის!

მე რასაკვირველია, როგორც სხვა მაყურებლებს, გამეცინა იმ წიროთ, რომ მუცლის კანმა წკპინ-წკპინი დაიწყო და კიდევაც ხელი მოვისეი არ გავნებთილიყავ კვახიეთა და ეთქვი გუნებაში, შტრაფი არ

გადარჩენ. ეს შესაძლოა არის, რომ შირიმის თათრები თავის ადგილ-მამულს სტუდენტს და სხვაგან სახლდებიან. ერთი გადასახლება შირიმის დაქარბის შემდეგ მოხდა, მეორე— შირიმის ომის შემდეგ და ეხლა მესამეთ არის.

სტუდენტების შემწეველი საზოგადოება. დოქონისაგან.

იმ საზოგადოების კამიტეტი, რომელიც პეტერბურლის უნივერსიტეტის ღარიბი სტუდენტების შემწეობას კისრულობს, შემდეგ განცხადებას ბეჭდავს რუსულ გაზეთებში. ჩვენც ვალდებული ვართ დავბეჭდოთ ეს განცხადება, და მეტადე იმიტომ, რომ ხსენებული საზოგადოებას მზრუნველობა ჩვენებურ მოაწვლელებზედაც გავრცელდება. აი ის განცხადება:

„საზოგადოება პეტერბურლის უნივერსიტეტის ღარიბი სტუდენტების შემწეველი ეხლა დაწესებულია. პირველი საზოგადოება 14 ნოემბერს მოხდა. საზოგადოებამ გამოარჩია თავმჯდომარე და კამიტეტის წევრები. ამ თავიდანვე დაწყებული ხელ-მოწყობა ნებას გვაძლევს, რომ ზოგს უფრო გაჭირვებულებს შევეწიოთ. საზოგადოების წევრების დახმარებით კამიტეტს იმედი აქვს აღასრულოს მინდობილობა იმდენად, რამდენსაც ნიეთიერი საშუალება შეაძლებინებს. მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ კამიტეტის და თვით საზოგადოების მოქმედების წარმატება დამოკიდებულია რუსეთის საზოგადოების თანაგრძობაზედ.

საზოგადოების მიზანი და იმისი კამიტეტის ვალდებულება ის არის, რომ ნიეთიერი და წნეობითი შემწეობა აღმოუჩინოს ყმაწვილ-კაცებს იმ დროდამ დაწყებული, როცა ისინი, ყმაწვილ ძალასა და წინ გაშლილ იმედს გარდა ყველაფერს მოკლებულნი, შედიან უნივერსიტეტში და მანამდის, სანამ ისინი მეცნიერებით განახლებულნი საზოგადოებრივ ასპარეზს დაადგებოდნენ. ჩვენ ეს ვიკისრეთ იმ იმედით, რომ რუსეთში ბევრნი იმისთანანი მოიპოვებინ, რომ მოსწავლე ყმაწვილ-კაცობას ბედის თანამგრძობი იყვნენ, რომელსაც ბეჭდავს ჩვენი უმაღლესი განათლება და მამასადამე ჩვენი მამულის მომავალი; რომ ეს კაცები ეცდებიან, რომ ყმაწვილ-კაცობის ძალანი არ მოჰკვდნენ ან არ დაიხარონ სამწუხარო ცხოვრების წრეში, რომ ყმაწვილ-კაცობის ბრწყინვალე იმედი არ დაბოლოვდეს მწარე სასოწარკვეთილებით, ენერჯის დაცემით და უუკეთეს მიდრეკილებათ დამახინჯებთ. საზოგადოებას და იმის კამიტეტს სურს, რომ ამისთანა კაცების თვადბალი და ერთგული მოსამსახურე იყვნენ და ამითი შემწეობის იმედი აქეთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა თუ მარტო ისინი, ვინც სტუდენტობით უნივერსიტეტთან შეკავშირებულია, არამედ ისინიც, ვინც უნივერსიტეტში სრულიად არ ყოფილა, თუ კი ისინი უმაღლესი განათლების თანამგრძობი არიან, შემწეობის უარს არ გვეტყვიან. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენი საზოგადოების წევრნი იმდენად გამარჯვდებიან, რამდენიც საქმის სიდიდესა და სიძნელეს შეეფერება. ამ იმედით მიექცევით ყველა პეტერბურლის უნივერსიტეტში

შემაწერონ თქო, ადვექი და გამოვედი კარში ბამოვედი კარში თუ არა, იენისის თვის მცხინვარე მზე მაშინვე თვალეში მეცა.

ჭუნებზედ ცარიელი მტვერი იყო ამდგარი, შემაწუნებელი კაცობრივობის მდგომარეობისა. მართლა საშუალება იყო მხოლოდ დარჩენილი, ბულგარი და შიგ ჩინეთური პაეილიონი, რომელშიაც არის ზაფხულობით მუცლის შიგნეულის გამაგრილებელი წყალი გასასყიდათ. მე მაშინვე იქითვე უკან მიუხედველათ გავქუსლე შუბლ მოგლეჯილი; მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემო პკითხელო, ერთმა ისეთმა საქმემ შემაჩერა, რომ გასაგრძობელი წყალი სრულებით დამაიწყდა. მითი ჯგუფი ხალხი თავმოყრილი წინ დამხედა და შუაში საუცხოვეო მორთული ადვოკატი იღვა: თავზედ რუსული ქუდი ქონდა ჩამოფხატული, ახალუბი კახური, ჩონა ჩერქეზული, წულა აფხაზური და წელზედ საბნის ნახევი გრუკი; ხელში ეჭირა ქა-

ნამყოფ სტუდენტებთან, რომელნიც მთელს რუსეთის პირველ განათლებულ აზრან, დედამამებთან, რომელნიც ახალგაზრდაზუნდ მზრუნველობენ, ყველა საზოგადო დაწესებულებასთან, რომელთაც კისურთ თვის შორის სასარგებლოდ მოქმედი კაცები იყოლიონ, ყველასთან, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის მომავალი!

მისაც სურს, რომ საზოგადოებას ამ საქმეში დაეხმაროს, ამ აღრესით უნდა გამოგზავნოს წიგნი:

Въ Петербургъ, Виктору Ивановичу Базилевскому, Пет. Ст. у Самсоньевскаго моста, по набережной б. Невы, въ собствен. домѣ.

ახ აგრე: Въ Петербургъ, въ книжный магазинъ А. А. Черкесова, на Невскомъ проспектѣ, въ д. Демидова.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

მარშალი ბაზენის პროცესი გათავდა. სასამართლომ გაუჩინა დამნაშავეს შემდეგი დასჯა: მარშალი ბაზენი ყოველივე ღირსების ჩამორთმევის შემდეგ უნდა დაიხრიოს ტახტს. მაგრამ დახრების მაგიერ, იმას ღირსება ჩამოართვეს და სატუსალოში დაამწყვდიეს.

ასე დაბოლოვდა ის საქმე, რომლის მსვლელობას გასაოცარის ინტერესით უცქეროდა არა თუ მართა საფრანგეთი—მთელი ქვეყანაცა.

და მართლაც, მეცის არმიის სარდლის მოქმედების გამოაშკარება ღირდა ამ ინტერესს. ბაზენს რომ მეცის ციხეში მოსვენება არ ესურვებია, სანამ სურსათი შემოაკლდებოდა, და მერმე თოფ-იარაღის დაპყრა მტრის წინაშე, მაშინ ომის მსვლელობა, ცხადია, სულ სხვა ნაირათ დატრიალდებოდა. მაგრამ მარშალმა თავის სამხედრო ვალისასრულებას—ბრძოლას მტერთან უკიდურეს ღონისძიებამდე—პოლიტუკურ ოინებში გართუა ამჯობინა. მარშალს ეგონა, რომ ბისმარკთან რამე ფერათ მოეთავსდებიდა და მერმე ჩემის ას სამოცდა ათი ათასი საუკეთესო ჯარით მიემართავ პარიჟსა. იქ შეესაბამებოდა მართებლობას მოვსობ და რაცა მსურს იმას ემოქმედებო. და რაცისზმრებოდა, ნეტავი, ამ თემოყვარე, ანგარებაში გაქსულს კაცს?—სულ ისე იმ ბონაპარტის დაბრუნება, რომლისგან საფრანგეთი დამცირებული და სირცხვილყული შეიქნა დროებით.

მ. ბისმარკიც დიდის კმაყოფილებით ემოკიქულებოდა ბაზენს. პრუსიის მინისტერს

სურდა მიეყენა მეცის სარდალი უკანასკნელ გაჭირვებაში, და მერმე ეთქვა: ეხლა ყველაფერი მზათა გვაქვს, დაპყარე იარაღი, გარეშე ყოველის პირობისაო. ბისმარკმა, როგორც მტკიცე სისტემატიკურმა, ეს განზრახვა მშვენიერად მოიყენა სისრულეში. თუმცა მარშალს უკანასკნელ ჟამშიაც ჰქონდა ციხიდან გამოსვლის საშუალება, მაგრამ იმან ეს აღარ გასინჯა. ეს კი არა, უბრალო სამხედრო კანონიც არ შეასრულა მან, ე. ი. არ დაწვევინა ბიარლები, არ გააფუჭებინა თოფ-ზარბაზნები, არ დაანგრია ციხე და სხ. ამ ნაირი უსანიდისო მოქმედების რეზულტატი იცის მკითხველმა. საფრანგეთი ერთბაშით უჯაროთ დარჩა და გულ გამხნევებულმა ბერმანიელებმა ყოველის მხრით შემოადგენ პარიჟს.

პროცესის დროს ყველა შესანიშნავ მოწმეებმა, იმათაც რომელნიც ბაზენის ხელქვეით იყვნენ და ბევრი მათგანი მეგობრობდა მარშალს, ყველამ ერთხმით გაამტყუნა მეცის სარდალი.

ბონაპარტიელებმა, რომელთ რიცხვი არმიის უფროს ჩინიანებში ბევრია, როდესაც შეხედეს, ბაზენის დაცვა აღარ მოხერხდებოდა, იმათაც კი მიყარეს ქვა დამნაშავეს.

მთელი პარტიისათვის ლაქას მომეტებას ბონაპარტისტებმა ბაზენის შეწირვა არჩიეს. ეს პოლიტიკური ტაქტიკა. ჭრანცუხები ზნეობით მაინც დამშვიდდნენ ეხლა. ბაზენის საქმემ გამოაჩინა, რომ ლალატმა სძლია საფრანგეთს და არა უწარჩინებულესმა მტერმა. ბერმანიელები კი, უთუოდ, დიდად დაგლოვიარდებოდნენ, რომ მათ გამარჯვების გვირგვინზე მეცის კაპიტულაციის მაგიერ მეცის სარდალის მოსყიდვა დაიწერება. რამდენი სიამაყე და ყოყორება ჩამოაკლდება ახლა პრუსიელებს, რომელთაც თავის ჭრიდრის კარლი ახალი პლექსანდრე მაკედონელი ეგონათ.

მართის კაცის ბრალით შეიცვალა საფრანგეთის ბელი. ეს კაცი ბაზენია. ამისთანა ქვეყნის ერთგულ გენერლებს ანდობდა ნაპოლეონ მესამე ჯარის სარდლობას.

„ღროებაში“ იყო გამოთქმული წინეთ უფრო ვრცლად ბაზენის დანაშაულობა და ისეც, თუ რა მიზეზებით უნდა გამეტყუებინა ის სასამართლოს.

მხლა ჩვენი აზრი ამ შესანიშნავ პროცესზედ სრულიად გამართლდა. ბაზენი დახრებისაგან შებრალებული გაუბედურებულია და შთამამელობა ზიზლით მოიგონებს მის სახელს. რასაკვირველია არც სიცოცხლეში ექნება დამტკბარი და გემრიელი ცხოვრება.

ის ნიდავ მიზეზი იქნება ყველა პატიოსანი კაცის ზიზლია და უპატიეცემულობისა. ლალატობა და კიდევ სამშობლოსი—ღმერთმა ყველა ჩვენს მტრებს აშოროს! ეს ისეთი მოუხრაციელი დალია, რომელიც უბღონდ აღარ ისპობა. აი რა დამსახურა თითქოსაოსტატმა მარშალმა! ოსტატი ჩიტი ორივე ფეხებით გაეზო, რომ იტყვიან, ეს არი.

ჩვენ ერთი გარემოება გვაკვირვებს ამ პროცესში, რატომ სასამართლოს მსაჯულთ-უსტეცმა თ. ომალმა არ მოახერხა ისე, რომ ბაზენი უთუოდ დაეხრებინებიათ? მაშინ ომალი ფრანცუხების გულს ამით ძალიან მოიგებდა და რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის მომეტებული იმედით იქნებოდა. მაგრამ ომალი ამას ან ვერ მიხვდა, ან ვერ მოართო. მით უკეთესი. საფრანგეთი შეხედეს, როგორ სხვა და სხვა კანონს აძლევენ თანასწორ დამნაშავეებს, მაგრამ სხვა და სხვა განმავლობის კაცებს. მართებლობამ კიდევ მოუმატა ერთი სიძულილის მიზეზი უაეტორიტეტო მდგომარეობას.

ნარკვი

ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკას წელს იმდენი შემოსავალი ჰქონია, რომ ხარჯზედ თითქმის სამოცი მილიონი მანეთი გადარჩენია, რომელიც ვალის გასასტუმრებლად უნდა მოიხმაროს.

ბრიტანიის საკოროლოში, ე. ი. ინგლისში, ირლანდიაში და შოტლანდიაში, 1872 წლის განმავლობაში, რკინის გზაზედ მარცხის გამო 1145 კაცი მომკვდარა და 3038 დაჭრილა. ამ რიცხვიდამ მოგზაურთაგანი ყოფილა: მკვდარი 127 და დაჭრილი 1462 კაცი. დანარჩენი მკვდრები და დაჭრილები რკინის გზაზედ მოსამსახურენი ყოფილან. ეს რიცხვები მოგზაურთ რიცხვს რომ შევადაროთ, გამოვა: 1 მკვდარი 3,330,000 მოგზაურზედ და 1 დაჭრილი 289,000-ზედ, ერთი მკვდარი მოსამსახურე 3,946 და ერთი დაჭრილი 180-ზედ.

მართი რუსეთის ქალაქის ზოგიერთი წარჩინებული პირები დიდი უკმაყოფილო ყოფილან იმ კორრესპონდენტებისა, რომელნიც იმ ქალაქიდან იგზავნებოდნენ. ამ კორრესპონდენტების წერა შეუწყაბებიათ ერთი საქალებო პროგინაზიის მასწავლებლისათვის და ამიტომ მოუხრამებიათ, არა თუ მართა იმისი, ყველა იმისი ამხანაგების, საქალებო უკოლის მასწავლებლების, ქალა-

ქილამ განგდება. ამ აზრით, იმათ მისწერეს თურმე საერთო წიგნი მოსკოვის სასწავლებელთ მაზრის მზრუნველს და სხოვეს, რომ საქალებო პროგინაზიის მასწავლებლები ცუდათ ასწავლიან და იწირენ გზოვთ, ახალი მასწავლებლები დაგვიჩინებთო. მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს იმათი თხოვნა უყუარადღებოდ უნდა დარჩეს, რადგანაც თვითონ მზრუნველსა და მაზრის ინსპექტორს საქალებო პროგინაზია დაუხედავთ და კარგს მდგომარეობაში უნახათ.

„პერმის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ რუსეთში ერთს წმინდის ნიკოლოზის მონასტერში 70 წლის მღვდელ-მონაზონს საეკლესიო ფულები მოუპარავს. მართი თუ ორი წელიწადია თურმე, რომ ამ ბერს 500 მანეთი საკუთარი ფული მოჰპარავს, უთუოდ იმ საფუძელით, რომ ბერს ფულები არ უნდა ჰქონდესო. პოლიციამ ვერ გამოაჩინა ამ ბერის გამქურდველი. ბერმა ამ ფულების ამოსაგებად თურმე სხვა საშუალების ძიებას შეუდგა. მშპაკი დიდი ხანია უყურუტებდა ამ ბერსო და ბოლოს შეუძვარა მას ამბობს ვახეთი. ბერმა განიზრახას, რომსაყდრის ქვეშა სარდაფის თალი და საყდრის იატაკი გაერღვია. მართი კვირის განმავლობაში კიდევ შეასრულა ეს განზრახვა ერთი ბრმა მოსამსახურის შემწეობით. ათასი მანეთი გამოიტანა ეკლესიიდან და შემწე დასაჩუქრა. ამბობენ, რომ ეს ქურდობა პირველი არ არისო ამ მონასტერში: ამას წინათ აქედამ თორმეტი ათასი მანეთი გაიტანესო.

ჰაპრის უოჩბა

ჩემო სასიქადულო ნათესაო ლუარსაბ! აგერ ათი წელიწადია, რაც ჩემს ბნედს თვალებს დაკარგული აქვს შენი გონიერი სახის შეხედვა! ამ ხნის განმავლობაში, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი ეჭვები და ჭფიქრები ხერხელადა ჩემს გულს!

მე უნდა გაგიტყდე, ყოველთვის მეშინოდა შენი ერთობ მკვირცხლი და მოუთოკველი ბუნებისა. მანსაკუთრებით შენს პ. ბურღში ჰყოფნის დროს ერთი ღამე მოსვენება და ძილი არ მღირსებია. სულ შენ დარღში ვიყავი, ჩემო ლუარსაბ, რომ რამე სახელმწიფოს საწინააღმდეგო არ ჩაიდინოს მეთქი.

ან კი შემეძლო სხვა ნაირ აზრზედ ეყოფილიყავი შენზედა? შენ რომ ქვეყნის უსამართლობით გაცხარებულს, სისხლით ამღერულ თვალებითა, გაბურღული სქელი თმითა, ნესტოებით არაბულ ცხენსავით მხენე

ნით გათქერილი სქელი რვეული კარანდამით ნაჯღაბნი და გაცხარებით ქადაგებდა: ჰოგეცა ღეთის წყალობა, მე დღეს ჩემი მოპირდაპირე გვეგულე ტიკიეთ, იმისთანა აზრი შევიტანე „прото каминъ лопнитъ“. ეს ორატორი იყო, როგორც შევიტყე, თურმე ნაყასბი, რომელიც ამ ხელობით გაკორტრებულა და ადვოკატობით თურმე უნდა შეიგოს ყოველი მისი წანაგები ყასაბის ხელობაში.

— მაშინა აქაც და აბა რაღას ეიფიქრებდი მის მეტს, რომ განათლებამ ასე ცის-თქო. მოეშორდი და კიდევ წაეყვარე სხვა გრუპასა.

ეს გრუპა იჯდა კუნძულზედ, რომელიც ელოენებით არის გაკეთებული შუა ბულოარდში და წყალი შემოყვანილი, მაგრამ ანდისხან შრება ისრე, რომ ცარიელი დამალი მიწის მეტი აღარა რჩება რა. მართის სხრით კარგი არის მაშინ, როცა წყალი დგას

შოგ, ბაყყების კონცერტებით ჰუბლიკა სიამოვნებს მუზიკის ნაცულად. ამ კუნძულზედ დიდი ბასი ჰქონდათ რამდენიმე პირთ: — ჰო! მექრთამეობა ეხლა აღარ არის! სთქვა ერთმა, უწინ კი საქმე არ გაკეთდებოდა უქრთამოთ.

— მხლა მექრთამეობა აღარ არის, მართალია, სთქვა მეორემ, მაგრამ ფულისაგან ქისის დაცარიელება კი ძალიან შემოიტანა ახალმა ცელილებამ.

— როგორ და ვისგან? კითხა პირველმა. — პიროგორ: უწინ, ბატონო, უფრო სინდისიანათ იცოდნენ მექრთამეობა. მართი საქმე მქონდა ენაზ დიდყრადმესთან, ასი თუმნის საქმე, და ჩემდა სასარგებლოთ გარდასწყვიტა ოც თუმნათ, ესეც დიდის გაჭირვებით შევაპარე და მოგებული დაერჩი. მხლა კი სხვა ნაირი ქრთამია, ესე იგი აშკარა ქრთამია. ასი მანეთის საქმე თუ გავქვს, ატუქანტს მიაქ ოცი თუმანი.

აქედამ დაბრუნებული წაეყვარე სხვა გრუპასა.

ეს გრუპა იყო შემდგარი თავდაზნაურობისაგან ხეებს ქვეშ და დიდის სიამოვნებით ისმენდნ პირ-დაღებული ბაძევრია სრუადის და მნოფრე შევრადის დამას კენჭის ყრის თაობაზედ.

— როგორ თუ შენ არ დადინარ სწორ გზაზედ და არ ჩამიგდე თეთრი კენჭო, ელაპარაკებოდა შევრადე სრუადეს?

— შენ თვითონ მიჩენე მაგალითით, მიუგო სრუადემ, და მეც იმ გზაზედ გავიარო. შენ ეს გვადრებო, და გაუშალა ქოლგა შევრადემ, რომელიც მას ეჭირა ხელში სიცხის დასაფარად და კაი უშიშვლა ტიტულა უბღონდში სრუადეს, რომელმაც წაიგლო ხელი ხანჯალში, მაგრამ ევლარა ვაპრიგა რა—ქვე კი მოიქნია შესაშინებლათ.

აქ ესთქვი მე, რომ მოწმედ დამნიშნავენთქო და მოექუსლე; მაგრამ მერე გული დაეიმშვიდე და ეთქვი, დრონი მეფობენ

და ესეც განათლებამ შემოიტანათქო და მივანებე თავი; მომაგონდა კი, რომ ქოლოგები ძალიან სახმარებელ იარაღათ შემოვიდა ჯანაბეთში. მალბატონებასაც კი ხმარება ცოდნათ ქოლოგების შევრადესავით. სპარსეთის შაჰი რომ მობრძანდა, კაი-კაი ქოლოგების ბათქა-ბუთქი იყო ქალბატონებს შუა.

აქედამ დაბრუნებული ხაზინაში შევიხედე და ვნახე, რომ ერთ თავდას სააზნაურო ბანკიდგან სამი ათასი თუმანი მისცეს, აზნაურების გარდაწყვეტილების ძალით, მაგრამ სამი ათასის თუმნის მაგიერათ, სამი ათას ორას ორმოცდა ცხრამეტი თუმანი და ორი მანეთი მისცეს. მთრმე კუპონები (სარგებლის ნიშანი) აღარ იანგარიშეს. მსეც განათლების ძალამ შემოიტანა. შულის ანგარიშიც გარდასხვაფერებულა, — თურმე კუპონების ფული, ფული როდი ყოფილა!

მხლა მშვიდობით, ჩემო მკითხველო, კიდევ შეგატყობინებ, თუ კაი-კაი, ცხელ-ცხელი ამბავები შევიტყე, ნამდვილი და სწორი, როგორც წვეით დაწერილია.

ხონელი მებუჯი.

